

ახალი თაობა



akhali.taoba.ge

13 წლის გომონაზა
საქსუალური
კალაღობის
ბრალდებით
დაკავებული
60 წლის მამაკაცი
ბავუის ძეა



8 წლის
ქმისშვილზე
საქსუალური
კალაღობის
ბრალდებით
30 წლამდე
მამაკაცი დააკავეს

გვ.5

ბათუმში 14 წლის გომონს, რომელმაც თქვა, რომ
გააუზაფიურეს, მამამ სხვა —
გომონა საავადმყოფოში გადაიყვანეს

სუთშაბათი, 24 ნოემბერი, 2022

№232 (9010)

ფასი: 80 თეთრი

„ქაზარაშვილთან თანამშრომლობა შეცდომაა, მისი თავდასვის მიწისტრობას შეცდომა იყო“



ნიკა ჩიტაძე:
„მელიაძე ძლიერი
პოლიტიკოსია
და საბეიშვილიც-
გიორგი
მუმლაძეც
მებრძოლი
აქტივისტია“



გვ.2

„ოპოზიციას კალიან ბავრი მუშაობა
მოუწვევს სიჭაუბრის გამოსანსწორებლად“

„ნაციონალებში რაც ხდება, სხვა პარტიებშიც გარდაუვალია“

ლევან ალაფიშვილი:
„პოლიტიკური
სპექტრისადმი ნდობის
რეიტინგი ისტორიულ
მინიმუმამდეა დასული“



გვ.3



გვ.3

„ვაშაძე ჩემს რჩევას თუ გაითვალისწინებს, კარგი იქნება“

დათო ლორთქიფანიძე: „საპარლამენტო
არჩევნებში გამოჩნდება, ხალხი „ქართულ
ოცნებას“ „რუსულ ოცნებად“ თუ აღიქვამს“



კუბინის ახალი ოპოზიციის საქმიანობას შეუდგა

გვ.4

„რუსეთი არ უნდა იყოს იმპერია და არ
დაემუქროს მეზობლებს“



რუსეთი ქართული
ეკლესია-მონასტრების
ოკუპაციას განაგრძობს



მას მეგობარმა
ქალმა ძალადობის
გამო უჩივლა

საშურში ებრაელი ბიზნესმენი დააკავეს

15 წლის
მოზარდს
ჭურის
ფილარი
ფოტოგრაფის
ნებართვის
გარეშე გაუკეთეს —



გვ.5

ბებიამ პოლიციაში იჩივლა



5 რომელ
ქვიზს
შეაწყობათ
24 ნოემბერს
წყალი

6 ამერიკელი
მაღალჩინოსნის
სენსაციური
გამოხატვა

2 27 ნოემბერს
პარლამენტთან
მიხეილ სააკაშვილის
გათავისუფლების
მოთხოვნით
აქცია გაიმართება

6 ნაბოს
საპარლამენტო
ასამბლეამ
ისტორიული
დადგენილება მიიღო



13 წლის გოგონაზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით დაკავებული 60 წლის მამაკაცი ბაბუსი ქმამა



13 წლის გოგონაზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით დაკავებული 60 წლის მამაკაცი ბაბუსი ქმამა. როგორც ბრალდებულ კაცის ერთ-ერთი მეზობელი აცხადებს, გოგონას მასთან საჭმელი მიჰქონდა ხოლმე.

– დედა აგზავნიდა ხოლმე და მასთან საჭმელი მიჰქონდა. წყნარი კაცი იყო. აივნიდან იყურებოდა, გარეთ სავსებოდა არ გამოდიოდა, – აცხადებს ბრალდებულ კაცის მეზობელი „რუსთავი 2“-თან საუბრისას.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ არასრულწლოვანის მიმართ ძალადობით და მუქარით განხორციელებული სექსუალური ხასიათის ქმედების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. სასამართლომ ბრალდებულს, 60 წლის მამაკაცს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა.

8 წლის ქმისთვის სექსუალური ძალადობის ბრალდებით 30 წლამდე მამაკაცი დააკავეს



მცირეწლოვანზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით 30 წლამდე მამაკაცი დააკავეს. არსებული ინფორმაციით, დაკავებულს სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენას ქმის შვილის მიმართ ედავებოდა.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევა რამდენიმე დღის წინ სამეგრელოში მოხდა. სასამართლომ ბრალდებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიძიება სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით დაიწყო, რაც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

სამართალდამცვეებმა ხარაგაულში მომხდარი მკვლელობის და დაჭრის საქმეზე ერთი პირი დააკავეს

სამართალდამცვეებმა ხარაგაულში მომხდარი მკვლელობის და დაჭრის საქმეზე ერთი პირი დააკავეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულია – 1978 წელს დაბადებული ჯ.ს.

რაც შეეხება დანაშაულში ბრალდებულ მეორე პირს, მისი ვინაობა დადგენილია. სამართალდამცველები ბრალდებულს ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

ბოლნისში ქმის მიერ დაჭრილი ქალი სამთვიანი მკურნალობის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა



სილნალის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბეში ქმის მიერ დაჭრილი ქალი სამთვიანი მკურნალობის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

27 წლის მარიამ ბაბაძეს ცეცხლსასროლი იარაღიდან ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული.

ფაქტი 4 სექტემბერს მოხდა. მომხდარის კონკრეტული მოტივი ამ დრომდე უცნობია. თუმცა ფაქტზე ადგილობრივებს

და ახლობლებს ორი ვერსია აქვთ. ისინი ფიქრობენ, რომ ქმარს შესაძლოა, იარაღი გაუფარდა, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე მოხდა.

პოლიციამ 27 წლის შმაგი ხუნაშვილი იმავე დღეს დააკავა. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარებული.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 11' 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე, ან უფადო პატიმრობას ითვალისწინებს.

სახომადგობა

თამარ ბაბუნია: „პირუსები, რომლებიც ახლა არის ცირკულაციის უწყველი, ყოველთვის ცირკულირებდა“

– კოვიდის პანდემიის დროს პირბადის გამოყენებამ და იმ ზოგადი დისტანცირების, ჰიგიენის წესების გაძლიერებამ შეაფერხა სხვა რესპირაციული ვირუსების გავრცელება, რაც გასაკვირი არ არის, – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ ბაბუნიამ განაცხადა.

თამარ ბაბუნიას თქმით, ვირუსები, რომლებიც ახლა არის ცირკულაციაში, არის ის ვირუსები, რომლებიც სულ ცირკულირებდა.

– ახლა დაგუბრუნდით ჩვეულ, ბუნებრივ ცირკულაციას და სეზონურობას, რაც ხასიათდება გრიპისა და გრიპისმაგვარი ვირუსების გავრცელების პერიოდში. ახლა ზუსტად ის პერიოდია, როდესაც მოსალოდნელიც იყო ვირუსების ამ ტიპის გავრცელება. თავად ვირუსებზე, რომელიც ცირკულირებს, ჩვენ დაავადებებზე კონტროლის ცენტრის საშუალებით ვახორციელებთ მეთვალყურეობას. ამას ჰქვია საყრდენი ბაზა, სადაც დგინდება, რა ტიპის ვირუსია ცირკულაციაში. ვირუსები, რომლებიც ახლა არის ცირკულაციაში, არის ვირუსები, რომლებიც

სულ ცირკულირებდა. ახალი და განსაკუთრებული აქ არაფერი არ არის, – განაცხადა თამარ ბაბუნიამ.

მისივე განცხადებით, თუ ბავშვს აქვს ტემპერატურის მატება, მნიშვნელოვანია, რომ ის ოჯახის ექიმმა მართოს, დარჩეს ბინაზე და უმკურნალოს სიმპტომურად.

– უფრო საყრდენი ადამიანი, რომელსაც აქვს რაიმე თანმხლები ქრონიკული დაავადება, ასეთ დროს მას მეტი ყურადღება სჭირდება. სიფრთხილეა საჭირო, მოსახლეობას ვაქცინაციისკენ მოვუწოდებთ.

რაც შეეხება გართულებებს, გართულებების რისკი გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების დროს, არ აღემატება 1%-ს. თუ ადამიანს რაიმე თანმხლები დაავადება არ აქვს, იმის

აღბათობა რომ ეს მდგომარეობა გართულებდეს, ძალიან დაბალია. ასევე, ყოველთვის მნიშვნელოვანია ხელის ჰიგიენა და დისტანცია. ეს ის სტანდარტული წესებია, რომელიც ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, – განაცხადა თამარ ბაბუნიამ.

ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვაქცინაციის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ სეზონური გრიპის ვაქცინაცია ყველა მსურველისთვის 30 ნოემბრის ჩათვლით უფასოა.

მისი თქმით, ქვეყნის მასშტაბით, უფასოა ნებისმიერი მსურველი, მომსახურებას, ვაქცინაციის პროცესში ჩართულ, 400-მდე სამედიცინო დაწესებულებაში მიიღებს.



სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრა, 6 თვის ასაკიდან, უფასოა. ნებისმიერი მსურველი, მომსახურებას, ვაქცინაციის პროცესში ჩართულ, 400-მდე სამედიცინო დაწესებულებაში მიიღებს.

როგორ უნდა გავაუმჯობესოთ სასაზოგადოებო სარეზერვუარი 24 ნოემბერს წყალი

24 ნოემბერს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“ ბასტიონის სატუმბო სადგურზე წყალმომარაგების სტაბილურობისთვის აუცილებელ სამუშაოებს ჩაატარებს. ტექნიკური სამუშაოები 24 ნოემბერს დღის 12:00 საათიდან დაიწყება, მთელი დღის განმავლობაში ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება და 25 ნოემბრის 18:00 სთ-ზე დასრულდება.



კომპანიაში განმარტავენ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია მაგისტრალური ქსელის წყლისგან დაცვა, რის გამოც 24 ნოემბერს დღის 12:00 საათიდან 25 ნოემბრის 18:00 საათამდე წყალმომარაგება შეეზღუდება.

აშვილის, არაყიშვილის, რამიშვილის, მოსამშვილის, ბერძენიშვილის, კაცხაძის, ატენის, ყიფშიძის, წყნეთისა და მიმდებარე ქუჩებს.

ასევე, ვაჟა-ფშაველას და ყაზბეგის გამზირების ნაწილს, სუკინის, დოლიძის, ჩიქოვანის, კოსტავას, ბოჭორიშვილის, მგალობლიშ-

ვილის, ტაშვენტის, ისაკაძის, გაგარინის, შარტავას, იოსებძის, კალანდაძის, ონიანის, ლვოვის, გელოვანის, სხირტაძის, ზემო ნიკოსის, მიცეკვიძის, ბასტიონის, თამარაშვილისა და მიმდებარე ქუჩებს, უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილს, ბენდელიანის, ფარსადანის, აღმაშენებლის ხეივანს, დიდმის წყლის, როსტეფანისა და მიმდებარე ქუჩებს.

მთაწმინდა-კრწანის რაიონში: ზალდასტანიშვილის, ბოცვაძის, ქიაჩელიის, ჭოგელიძის, ბაქრაძის, გოგებაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ვარაზის ხევის, ანჯაფარიძის, ჭიაურელის, მელიქიშვილის, კოსტავას I-II შესახვევებს, მედეა (მზია) ჯუღელიის, ლარის, რჩეულიშვილის, ბაშალღიშვილის, გრიბოელოვის, რუსთაველის, ფურცელაძის, ალ. ჭავჭავაძის, მთაწმინდის, ყიფიანის, ქიქოძის, ბესიკის, შვეჩენკოს, ინგოროყვას, ჭონქაძის, ლეონიძის, ლერ-

მონტოვის, ტაბიძის, თარხნიშვილის, პეტრიაშვილის, ჩიტაძის, თაბუკაშვილის ქუჩის ნაწილს, სანაპიროს, ბროსეს და მიმდებარე ქუჩებს, ოქროყანის დასახლებას.

სუშკინის, კოტე აფხაზის ქუჩის ნაწილს, იერუსალიმის, ბეთლემის, სამღერის, ლვინის აღმართის, ორთაჭალის ქუჩის I-V ჩიხებს, აბოთბილელისა და მიმდებარე ქუჩებს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში: მარჯანიშვილის ქუჩის ნაწილს, უშანგი ჩხეიძის, ქართულ ამერიკული მეგობრობის გამზირს, ბელიაშვილის ქუჩის ნაწილს, დისევის, ლუბლიანას და მიმდებარე ქუჩას.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“ ბოდიშ უსდის მომხმარებლებს დისკომფორტისთვის და აცხადებს, რომ წყალმომარაგების სრულად აღდგენამდე კომპანია მოსახლეობას წყალს ცისტერნებით მიანვდის.

